სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
LEPL College " PHAZISI "

2024

# კატალოგი





სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

# კოლეჯის პარტნიორები

პროფესიული უნარების სააგენტო

ფოთი

ხობი

UNDP

Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

EBERHARD SCHÖCK STIFTUNG

MILLENNIUM CHALLENGE CORPORATION
UNITED STATES OF AMERICA

Federal Ministry for Economic Cooperation and Development
BMZ

Tourism Development center of city Poti

POTI CITY MUNICIPALITY CENTER OF SPORT AND TOURISM

შემოსავლების სამსახური

პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის
INDUSTRY-LED SKILLS AND WORKFORCE DEVELOPMENT

APM TERMINALS
Lifting Global Trade

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

PARAGRAPH
Resort & Spa
SHEKVETILI
AUTOGRAPH COLLECTION
HOTELS

სოციალური მომსახურების სააგენტო
SOCIAL SERVICE AGENCY
www.ssa.gov.ge

TRANSFORD
MEMBER OF PACE GROUP

SOCAR
KULEVI OIL TERMINAL

MSF
MARINE SHIPPING AND FORWARDING

ENERGO-PRO
GEORGIA

KKK & COMPANY

AUTOGRAPH

SOFMAR

ჯორჯიან ტრანს ექსპედი
GEORGIAN TRANS EXPEDITI

აისბერგ ფოთი
ICEBERG POTI

Caucasian Logistic Group
International Transport Company

Beauty Lab
barber nail esthetic

შპს "აისბერგი - 2"
"AISBERGI-2" LTD

უნივერსამი

AJARA TEXTILE

Beauty House

Mate Motors GB

Villa Reta

MAGNIKA
BEACH RESORT AND SPA

ხალიჩი

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
ჰ ო ლ დ ი ნ გ უ რ ი კ ო მ პ ა ნ ი ა

MOULDS AND METALS GEORGIA LTD.

## კოლეჯის შესახებ

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"თავისი არსებობის მრავალ ათეულ წელს ითვლის. იგი დაარსდა 1957 წელს. წლების განმავლობაში ეს სასწავლო კერა ახორციელებდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას ქალაქის შრომის ბაზრის მოთხოვნათა საფუძველზე. კოლეჯის ბაზაზე მიმდინარეობდა მუშა-მოსამსახურეთა მომზადება-გადამზადება სხვადასხვა სპეციალობებში. კოლეჯმა თავისი არსებობის მანძილზე რამდენჯერმე მცირედ იცვალა მიმართულება, მაგრამ ძირითადი პროფილი უცვლელი დარჩა.

2011 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელდა კოლეჯის სრული რეაბილიტაცია. კოლეჯი განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ აგრეთვე სრულად აღიჭურვა ინვენტარითა და თანამედროვე ელექტრო და კომპიუტერული ტექნიკით. სსიპ კოლეჯის "ფაზისი" სასწავლო და საწარმოო გარემოს შექმნას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გაეროს განვითარების პროგრამამ, რომლის თანადგომით კოლეჯში შეიქმნა მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კოლეჯის მატერიალური ბაზის შევსებას ხელი შეუწყვეს აგრეთვე სხვა დონორმა ორგანიზაციებმაც - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს პროფესიული განათლების პროექტის პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარების საგრანტო პროექტმა - "ინოვაციები მეთევზეობის ინდუსტრიაში".

ქალაქი ფოთი, თავისი განვითრების გზაზე აუცილებლად მოითხოვს კვალიფიცირებულ მუშა-ხელს და ჩვენი კოლეჯის მიზანიც მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაა. ჩვენი რეგიონისათვის პრიორიტეტია ფოთის პორტის განვითარება, ამ მხრივ კოლეჯი აქტიურად არის ჩართული ამ დარგის სპეციალისტების მომზადებაში. ქალაქის შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით კოლეჯი ამზადებს აგრეთვე სპეციალისტებს სამშენებლო სფეროში. კოლეჯი თანამშრომლობს ქალაქის მრავალ ორგანიზაციასთან და ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ ბაზას საწარმოო პრაქტიკის გასავლელად ჩვენი სტუდენტებისათვის. კოლეჯში სწავლობენ, როგორც ადგილობრივი, ასევე მიმდებარე რეგიონებიდან ჩამოსული ადამიანები, ასევე, ჩვენი კარი ღიაა მზრუნველობა მოკლებული, განსხვავებული უნარის მქონე, დევნილი და სოციალურად დაუცველი ფენებისათვის. კოლეჯი სრულად ადაპტირებულია სსმ და შშმ პირებისათვის.

კოლეჯისათვის უმნიშვნელოვანესია შემდგომი განვითარება და ხარისხისა და მიმზიდველობის ზრდასთან ერთად, გეოგრაფიული არეალის გაფართოებაც და რადგანაც სამეგრელოს მხარეში, ეკონომიკური საქმიანობის თვალსაზრისით, ყველაზე აქტიური სწორედ ხობის მუნიციპალიტეტია და განვითარების კარგი პერსპექტივები აქვს განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მიმართულებას, გაჩნდა ინიციატივა, ხობის მუნიციპალიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება განხორციელებულ იქნეს ჩვენს მიერ და გაიზარდოს დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები. ამ მიზნით, უვადო სარგებლობის უფლებით კოლეჯს გადმოეცა ხობში სოფელ ნოჯიხევში მდებარე შენობა-ნაგებობა მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთით (ყოფილი პროფესიული სწავლების ცენტრი) მიმდინარე ეტაპზე ზემო აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია ნაწილობრივ დასრულდა.

კოლეჯს, რეგიონის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება სხვა და სხვა მიმართულებით. კოლეჯის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებით, "პროფესიული განათლების შესახებ" და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონებით, ასევე სხვა ნორმატიული აქტებითა და კოლეჯის წესდებით.

კოლეჯის ყველა თანამშრომელი ხელმძღვანელობს დამტკიცებული შინაგანაწესით მათზე დაკისრებული ფუნქციონალური მოვალეობებიდან გამომდინარე და საშტატო განრიგის

შესაბამისად. კოლეჯს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

კოლეჯი არის ISO ხარისხის მენეჯმენტის სისტემის 9001:2015 სერთიფიკატის მფლობელი.


CERTIFICAT ◆ CERTIFICADO ◆ СЕРТИФИКАТ ◆ 認證證書 ◆ CERTIFICATE ◆ ZERTIFIKAT

TÜV SÜD Management Service

# CERTIFICATE

The Certification Body
of TÜV SÜD Management Service GmbH
certifies that

LEPL College "PHAZISI"
# 54 Konstitution str.
4400 Poti
Georgia

has established and applies
a Quality Management System for

Provision of
Vocational education, training courses,
evaluation and/or attestation activities.

An audit was performed, Order No. 707084497.
Proof has been furnished that the requirements according to

ISO 9001:2015

are fulfilled.
The certificate is valid from 2021-01-05 until 2024-01-04.
Certificate Registration No.: 12 100 55122 TMS.

Product Compliance Management
Munich, 2020-12-16

IAF DAkkS

TÜV SÜD Management Service GmbH • Zertifizierungsstelle • Ridlerstrasse 57 • 80339 München • Germany
www.tuev-sued.de/certificate-validity-check

TÜV®

**კოლეჯში მიღება ხორციელდება შემოდგომაზე.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების გასავლელად აუცილებელია მსურველმა/განმცხადებელმა გაიაროს რეგისტრაცია შესაბამის ვებგვერდზე www.vet.emis.ge.

დადგენილ ვადებში, მსურველს შეუძლია ონლაინ, დამოუკიდებლად ან სასწავლებელში ვიზიტისას, ადმინისტრაციის დახმარებით.

აპლიკანტი მიიღებს ინფორმაციას მოტივაციური გასაუბრების / გამოცდების (პრეტესტისა და პროფესიული ტესტირების) შესახებ და გამოცხადდება კოლეჯში / საგამოცდო ცენტრებში.

საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების ჩარიცხვა ორი ფორმით ხორციელდება – იმ პროფესიულ პროგრამებზე, სადაც კვალიფიკაციის დონე არის III და IV აპლიკანტები მხოლოდ კოლეჯში ორგანიზებულ შიდა შერჩევაში მონაწილეობენ, კოლეჯის მიერ შემუშავებული და დადგენილი წესის შესაბამისად. მოტივაციური გასაუბრების წარმატებით გავლის და შესაბამისი დოკუმენტაციის განსაზღვრულ ვადებში წარმოდგენის შემდეგ სტუდენტი მოიპოვებს კოლეჯში სწავლის უფლებას.

იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც კვალიფიკაციის დონე არის V, გადიან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებას. ტესტირების წარმატებით გავლის შემდეგ აპლიკანტი მოიპოვებს კოლეჯში სწავლის უფლებას.

პროფესიული განათლების სხვადასხვა მიმართულებით, ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლების, განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, კოლეჯი ,,ფაზისი'' ახორციელებს პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებს. პროფესიული მომზადების პროგრამა პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონეს.

პროგრამის გავლის შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.

საქართველოში სახელმწიფო ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების (სსსმ) აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში და მათ სოციალიზაციას. ამ მიზნით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობაში სსსმ პირებისთვის გათვალისწინებულია მისაღები ადგილების განსაზღვრული რაოდენობა და მათთვის მოქმედებს ჩარიცხვის ალტერნატიული მიდგომა, რაც გულისხმობს პროფესიის მოსინჯვას.

## მისია, ხედვა, ღირებულებები

**სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ არის** მრავალპროფილური პროფესიული დაწესებულება, რომელიც პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფით, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული შესაბამისი კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებით, მთელი სიცოცხლის მანძილზე პირის პროფესიული და პიროვნული განვითარებით, წვლილი შეიტანოს ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლაში.

**კოლეჯის ხედვაა** იყოს ლიდერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც რეგიონში, ისე ქვეყანაში, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული მოქნილი ხარისხის სისტემის ჩამოყალიბებით, სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების მაღალი სტანდარტების დანერგვით, დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით, საჯარო/კერძო/საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით.

## ღირებულებები:

- პროფესიონალიზმი;
- ორიენტაცია შედეგზე;
- უწყვეტი სწავლების ხელშეწყობა;
- სოციალური ინკლუზია;
- გუნდური მუშაობა;
- გამჭვირვალობა;
- სწრაფვა ინოვაციისკენ.

კოლეჯი ახორციელებს შემდეგ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებს:

1. ქალის თმის შეჭრა-შეღებვა;
2. IT ტექნოლოგიები;
3. ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურის მოყვანა დახურულ გრუნტში;
4. პირველადი დახმარება;
5. პირველადი გადაუდებელი დახმარება;
6. სავაჭრო ობიექტების მოლარე-კონსულტანტი;
7. თევზის ხელოვნური ინკუბირება-ლავრების გამოყვანა და ლიფსიტების გამოზრდა;
8. ლამინირებული და ხის იატაკისა და კარ-ფანჯრების მოწყობა;
9. ხელით ელექტრორკალური შედუღება;
10. ელექტრული ტექნიკის მონტაჟი და ექსპლუატაცია.

პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხვისთვის წინაპირობები განისაზღვრება კონკრეტული პროგრამით. რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით www.vet.emis.ge .

## კოლეჯი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიკაციური პერსონალით



















# ს ა რ ჩ ე ვ ი


კოლეჯის პარტნიორები ____ 1

კოლეჯის შესახებ ____ 4

მისია,ხედვა, ღირებულებები ____ 6

მიმსართულება-ბიზნესი, ადმინისტრირება,სამართალი ____ 10

ბუღალტრული აღრიცხვა ____ 11

საფინანსო სერვისები ____ 13

სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა ____ 15

საოფისე საქმე ____ 18

მიმართულება - ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები ____ 21

ინფორმაციის ტექნოლოგია ____ 22

მიმართულება - ინჟნერია, წარმოება და მშენებლობა ____ 23

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტეგნოლოგიები ____ 24

ელეტროობა ____ 27

შედუღება ____ 29

მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება ____ 31

სამკერვალო წარმოება ____ 33

მიმართულება - მომსახურებები ____ 36

თმის მომსახურება ____ 37

ამწე და მსგავსი მანქანების მომსახურება ____ 39

ამწის ოპერირება ____ 41

მიმართულება - ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები ____ 43

ფლორისტიკა ____ 44

ხის მხატვრული დამუშავება ____ 47

მიმართულება - სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია ____ 50

ფერმერი მემცენარე ____ 51

ფერმერობა მეთევზეობაში ____ 53

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები ____ 54

ფოტო მატიანე 2023 ____ 78



# მიმართულება - ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი





# ბუღალტრული აღრიცხვა - 0411

(განხორციელების ადგილი - ფოთი)

1. **პროფესიული საგანმანათ;ლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე:** ბუღალტრული აღრიცხვა / Accounting

2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა -** 04114-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე**

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა", კოდი 0411, აღწერი - ,,შეისწავლის ფინანსური ოპერაციების განხორციელებას, აუდიტირებასა და აღრიცხვას."

**4. მიზანი:** პროგრამის მიზანია, მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოსს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

**5. დაშვების წინაპირობა -** სრული ზოგადი განათლება

**6. სტრუქტურა და მოდულები:**

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 129 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-21,5 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 99 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-16 თვე.

| № | ზოგადი მოდულები | კრედიტი |
|---|---|---|
| 1. | უცხოური ენა (ინგლისური) | 5 |
| 2. | მეწარმეობა 3 | 3 |
| 3. | ინფორმაციული წიგნიერება 2 | 3 |
| | ჯამი: | 11 |

| № | პროფესიული მოდულები | კრედიტი |
|---|---|---|
| 1. | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | 7 |
| 2. | ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება | 3 |

| | | |
|---|---|---|
| 3. | სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა | 9 |
| 4. | კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა | 5 |
| 5. | საგადასახადო დეკლარირება | 4 |
| 6. | სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები | 4 |
| 7. | ინვენტარიზაცია | 2 |
| 8. | ფინანსური ანგარიშგების შედგენა | 8 |
| 9. | ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით | 12 |
| 10. | მმართველობითი აღრიცხვა | 8 |
| 11. | Ms Excel | 6 |
| 12. | ბიზნეს ინგლისური | 5 |
| 13. | აუდიტის საფუძვლები | 2 |
| 14. | ეკონომიკური ანალიზი | 5 |
| 15. | გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა | 2 |
| 16. | პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება | 6 |
| | **ჯამი:** | **88** |

**7. სწავლის შედეგები:**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა
2. შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები)
3. აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები
4. შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები
5. მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება
6. აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით
7. აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე
8. აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა
9. შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

**8. კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ პრეროგატივას.კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დაადასტუროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულები.

## საფინანსო სერვისები-0412

(განხორციელების ადგილი - ფოთი)

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე -** საფინანსო სერვისები / Finance services

2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა** 04117-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე -** საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services

4. **მიზანი** - პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობას.

5. **დაშვების წინაპირობები**

- საბაზო განათლება
- არანაკლებ 17 წელი

6. **სტრუქტურა და მოდულები**

„საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 17 კრედიტის მოცულობით და 13 პროფესიულ მოდულს 35 კრედიტის მოცულობით.

საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **52 კრედიტი**

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 67 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-12 თვე.

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 52 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-9.5 თვე.

| **ზოგადი მოდულები** | | |
|---|---|---|
| **№** | **მოდულის დასახელება** | **კრედიტი** |
| 1 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| 2 | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 3 |
| 3 | რაოდენობრივი წიგნიერება | 2 |
| 4 | უცხოური ენა | 4 |
| 5 | მეწარმეობა 1 | 2 |
| 6 | სამოქალაქო განათლება | 3 |
| | **ჯამი:** | **17** |
| **პროფესიული მოდულები** | | |

| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
|---|---|---|
| 1 | გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისები | 1 |
| 2 | ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები | 2 |
| 3 | სერვის პლუსი | 1,5 |
| 4 | სალაროს ოპერაციების განხორციელება | 3,5 |
| 5 | ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება | 4 |
| 6 | ანგარიშის გახსნა-დახურვა | 4 |
| 7 | სწრაფი ფულადი გზავნილები | 1 |
| 8 | უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები | 4 |
| 9 | სადეპოზიტო მომსახურება | 4 |
| 10 | საკრედიტო პროდუქტები | 2 |
| 11 | დისტანციური საბანკო მომსახურება | 1.5 |
| 12 | სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი | 3 |
| 13 | საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები | 3,5 |
| | **ჯამი:** | **35** |
| | **სულ:** | **52** |

## 7. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო ობიექტებში
2. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებში
3. განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები
4. შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები
5. ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

## 11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" პრეროგატივას. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დაადასტუროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულები.

# ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“- 0413

(განხორციელების ადგილი - ფოთი)

**1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე:** სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა / Freight Transportation Logistics.

**2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა :** ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი / Logistics and Port Management 04113-პ

**3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე:** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში / Secondary Vocational Qualification in Logistics

**4. მიზანი:**

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

**5. დაშვების წინაპირობა -** საშუალო პროფესიული კვალიფიკაციისათვის - სრული ზოგადი განათლება; საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

**6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:**

**ლოგისტიკაში** საშუალო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს, **სატვირთო გადაზიდვების** ლოგისტიკის მიმართულებით შეუძლია დასაქმდეს ტვირთების გადამზიდავ ექსპედიტორულ და სატრანსპორტო - ლოჯისტიკურ ორგანიზაციებში; საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში; სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ასოციაციებში; სატრანსპორტო და საექსპედიციო ორგანიზაციებში; სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკურ კომპლექსებში; სავაჭრო-შემსყიდველ და საშუამავლო ორგანიზაციებში; მზა პროდუქციის მსხვილ სადისტრიბუტორო ორგანიზაციებში; გამანაწილებელ და ლოგისტიკურ ცენტრებში; საბაჟო ტერმინალური კომპლექსებში; სასაწყობო მეურნეობებში, საბაჟო საწყობებში.

**7. სტრუქტურა და მოდულები:**

**ლოგისტიკაში საშუალო** პროფესიული კვალიფიკაცია - მოიცავს 5 ზოგად მოდულს, ჯამური 15 კრედიტის რაოდენობით და 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 54 კრედიტის რაოდენობით, 5 ინტეგრირებულ მოდულს-60 კრედიტის ოდენობით.

**ლოგისტიკაში საშუალო** პროფესიული კვალიფიკაციის პროფესიული მოდულების 70% მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს, ხოლო 30% თეორიული კომპონენტია.

**ლოგისტიკაში საშუალო** პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის, მოდულური და დუალური სწავლებისას, პირმა უნდა დააგროვოს **69** კრედიტი, ხოლო ინტეგრირებული სწავლებისას-122 კრედიტი.

**პროგრამის მოცულობაა:**

**მოდულური:**

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 99 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-19 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 69 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-14 თვე.

**დუალური:**

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 99 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-23.5 თვე.

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 69 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-18.5 თვე.

**ინტეგრირებული:**

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 152 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-36 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 122 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-30 თვე.

***არ გაითვალისწინება ისეთ სასწავლო გეგმაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**

| ზოგადი მოდულები | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| 2 | **ინტერპერსონალური კომუნიკაცია*** | 3 |
| 3 | **მეწარმეობა 2*** | 2 |
| 4 | **რაოდენობრივი წიგნიერება*** | 2 |
| 5 | უცხოური ენა (ინგლისური) | 5 |
| **ჯამი:** | | **15** |
| **ინტეგრირებული მოდულები** | | |
| 1 | კომუნიკაცია ქართულ ენაზე | 14 |
| 2 | მათემატიკური წიგნიერება | 14 |
| 3 | მეცნიერება და ტექნოლოგიები | 18 |
| 4 | მეწარმეობა | 4 |
| 5 | მოქალაქეობა | 10 |
| **ჯამი:** | | **60** |
| **პროფესიული მოდულები** | | |
| 1 | გაცნობითი პრაქტიკა - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა | 2 |
| 2 | ლოგისტიკის საფუძვლები | 5 |
| 3 | გადაზიდვის ხარჯების კალკულაცია | 4.5 |
| 4 | გადაზიდვის მომზადება | 4,5 |
| 5 | საწყობის ლოგისტიკა | 5 |
| 6 | საავტომობილო გადაზიდვები | 4 |
| 7 | საავიაციო გადაზიდვები | 4 |
| 8 | საზღვაო გადაზიდვები | 4 |

| | | |
|---|---|---|
| 9 | სარკინიგზო გადაზიდვები | 6 |
| 10 | პრაქტიკული პროექტი - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა | 3 |
| 11 | საწარმოო პრაქტიკა - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა | 12 |
| **ჯამი:** | | **54** |
| **სულ:** | | **129** |

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაგეგმოს სატვირთო გადაზიდვები;
2. გააფორმოს შეკვეთა;
3. განახორციელოს გადაზიდვების მონიტორინგი;
4. შეავსოს სატრანსპორტო დოკუმენტაცია;
5. გადაზიდვების დროს გამოთვალოს ლოგისტიკური დანახარჯები;
6. მიიღოს ტვირთი საწყობში;
7. გააკონტროლოს ნაშთები.

**9. კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ პრეროგატივას.

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულები.

დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების საათების 51.7% რეალურ სამუშაო გარემოში მიმდინარეობს. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

# საოფისე საქმე - 0415

(განხორციელების ადგილი - ფოთი)

**1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე -** საოფისე საქმე - office work

**2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა** - საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება / Office Work and Event Managment 04119-პ

**3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე**: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში / Secondary Vocational Qualification in Office Work

**4. მიზანი -** პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ ადმინისტრაციულ დამხმარე პერსონალს, რომელიც შეძლებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულების აქტივობების დაგეგმვას, მართვასა და დაწესებულების დოკუმენტბრუნვას

**5. დაშვების წინაპირობა**

- სრული ზოგადი განათლება;
- საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

**6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

საოფისე საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საჯარო და კერძო დაწესებულებებში ოფისის მენეჯერად, ხელმძღვანელის თანაშემწედ, მდივნად. დოკუმენტაციის წარმოებასა და გარკვეული ორგანიზაციული ქვედანაყოფების ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტად და დამხმარე მუშაკებად.

**7. სტრუქტურა და მოდულები:**

**საოფისე საქმეში საშუალო** პროფესიული კვალიფიკაციის პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 15 ჯამური კრედიტის რაოდენობით; ერთ პროფესიულ მოდულს („წერილობით ტექსტთან მუშაობა“) 5 კრედიტის რაოდენობით; 14 დარგობრივ მოდულს-39 კრედიტის ოდენობით, 5 ინტეგრირებულ მოდულს-60 კრედიტის ოდენობით.

საოფისე საქმის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 59 კრედიტი.

**საოფისე საქმეში საშუალო** პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის, მოდულური სწავლებისას, პირმა უნდა დააგროვოს **59** კრედიტი, ხოლო ინტეგრირებული სწავლებისას-119 კრედიტი.

**პროგრამის მოცულობაა:**

**მოდულური:**

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 89 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-16 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 59 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-10,5 თვე.

**ინტეგრირებული:**

• არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 149 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-36 თვე.

• ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 119 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-30 თვე.

***არ გაითვალისწინება ისეთ სასწავლო გეგმაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| **საოფისე საქმე** | | |
| **ზოგადი მოდულები** | | |
| **№** | **მოდულის დასახელება** | **კრედიტი** |
| 1 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| 2 | **ინტერპერსონალური კომუნიკაცია *** | 3 |
| 3 | **რაოდენობრივი წიგნიერება *** | 2 |
| 4 | უცხოური ენა | 5 |
| 5 | **მეწარმეობა 2 *** | 2 |
| | **ჯამი:** | **15** |
| | **ინტეგრირებული მოდულები** | |
| 1 | კომუნიკაცია ქართულ ენაზე | 14 |
| 2 | მათემატიკური წიგნიერება | 14 |
| 3 | მეცნიერება და ტექნოლოგიები | 18 |
| 4 | მეწარმეობა | 4 |
| 5 | მოქალაქეობა | 10 |
| **ჯამი:** | | **60** |
| **პროფესიული მოდულები** | | |
| 1 | წერილობით ტექსტთან მუშაობა | 5 |
| **ჯამი:** | | **5** |
| **პროფესიული მოდულები - საოფისე საქმე** | | |
| 1 | გაცნობითი პრაქტიკა - საოფისე საქმე | 1 |
| 2 | დოკუმენტების რეკვიზიტებისა და ბლანკების გაფორმება | 2,5 |
| 3 | კორესპონდენციის ორგანიზება | 2,5 |
| 4 | საინფორმაციო-საცნობარო დოკუმენტების წარმოება | 2,5 |
| 5 | ნორმატიული აქტების გამოყენება | 2 |

| | | |
|---|---|---|
| 6 | მმართველობითი დოკუმენტების მომზადება | 3 |
| 7 | დოკუმენტების არქივისთვის გადასაცემად მომზადება | 5 |
| 8 | ადმინისტრაციული ასისტირება | 5 |
| 9 | საორგანიზაციო დოკუმენტების პროექტების მომზადება | 1,5 |
| 10 | საოფისე შეხვედრებისა და ღონისძიებების დაგეგმვა | 2 |
| 11 | საფინანსო დოკუმენტებთან მუშაობა | 1 |
| 12 | საოფისე და სამეურნეო მარაგების მართვა | 3 |
| 13 | მენეჯმენტის ზოგადი კონცეფციები და საკადრო დოკუმენტაციის წარმოება | 4 |
| 14 | საწარმოო პრაქტიკა - საოფისე საქმე | 4 |
| ჯამი: | | **39** |
| სულ: | | **119** |

**8. სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაგეგმოს შეხვედრები და მივლინებები
2. მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის დაგეგმვაში
3. აწარმოოს მიმოწერა სხვადასხვა საკითხებზე
4. მოამზადოს დოკუმენტების პროექტები
5. მართოს ორგანიზაციის დოკუმენტბრუნვა
6. კოორდინირება გაუწიოს ორგანიზაციული ქვედანაყოფების საქმიანობას
7. უზრუნველჰყოს ინფორმაციის გაცვლა ორგანიზაციის სხვადასხვა ქვეგანყოფილებას შორის.

**9. კვალიფიკაციის მინიჭება:**

კვალიფიკაციის მინიჭება არის სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ პრეროგატივა;

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.



# მიმართულება - ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები





# ინფრომაციის ტექნოლოგია

(განხორციელების ადგილი - ფოთი)

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე -** ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology

2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა:** 06112-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე**

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support

4. **მიზანი:** პროგრამის მიზანია ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის კონკურენტუნარიან კადრის აღზრდის უზრუნველყოფა; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

5. **დაშვების წინაპირობა/წინაპირობები:** საბაზო განათლება

6. **დასაქმების შესაძლებლობები: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის** საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

7. **სტრუქტურა და მოდულები:**

**საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა** მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 17 კრედიტის ოდენობით. 3 პროფესიულ მოდულს ჯამური 13 კრედიტის ოდენობით. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს **61** კრედიტი.

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 76 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-13,5 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 61 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-11 თვე.

| | **ზოგადი მოდულები - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა** | |
|---|---|---|
| | **მოდულის დასახელება** | **რედიტი** |
| | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 3 |
| | რაოდენობრივი წიგნიერება | 2 |
| | მეწარმეობა 1 | 2 |
| | სამოქალაქო განათლება | 3 |
| | უცხოური ენა (ინგლისური) | 4 |
| | **ჯამი:** | **17** |
| | **საერთო პროფესიული მოდულები** | **რედიტი** |
| | კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა | 7 |
| | კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა | 6 |

| | | |
|---|---|---|
| | კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები | 7 |
| | კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა | 7 |
| | მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები | 4 |
| | **ჯამი:** | **31** |
| | **პროფესიული/დარგობრივი მოდულები** | **ედიტი** |
| | გაცნობითი პრაქტიკა  - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში | 1 |
| | პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში | 6 |
| | დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support | 6 |
| | **ჯამი:** | **13** |
| **სულ:** | | **61** |

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:**

*სწავლის შედეგები საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის მიმართულებით*

-ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
- დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
- დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
- დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
- განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
- გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
- გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
- შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
- მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

**9.პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ  კოლეჯის ,,ფაზისი“ პრეროგატივას.
კვალიფიკაციის მოსაპოვებლად  პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრ
განსაზღვრული მოდულები.








# მიმართულება - ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა









## „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები ”-0712

(განხორციელების ადგილი - ფოთი)

1. **ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა:** - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები/Occupational Safety and Environmental Technology

2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა** - 07311-პ
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში / Higher Vocational Qualification in Occupational Safety and Environmental Technology

4. **მიზანი**

პროგრამის მიზანია, კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს შეიმუშაოს სამუშაო სივრცეში მყოფი პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მექანიზმს, შექმნის პირობებს ჯანსაღი და ღირსეული საქმიანობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოფს შრომის დაცვითი ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.

5. **დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება
6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:** შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერი/სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს:

სხვადასხვა სფეროებში: მშენებლობის, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, ნავთობისა და გაზის, ლოჯისტიკის, ტრანსპორტის, მძიმე მრეწველობის, სამთო მრეწველობის, საზღვაო პორტების, კომუნიკაციების, ტურიზმის, სარესტორნო, გასართობ, სავაჭრო, საგანმანათლებო დაწესებულებებში: უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად; ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორად/მენეჯერად; შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად; დაბინძურების ინსპექტორად; ჯანსაღი სამუშაო გარემოს დაცვის ოფიცერად; შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მრჩეველად; გარემოს დაცვის მრჩეველად; შრომის ჰიგიენის სპეციალისტად/მენეჯერად; ნარჩენების შეგროვების სპეციალისტად; ნარჩენების დამუშავება-მოცილების სპეციალისტად; დაბინძურებისაგან გასუფთავება-ნარჩენების მართვის ინსპექტორად; უსაფრთხოების დაცვის სპაციალისტად/ მენეჯერად; შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სახელმწიფოს შრომის ინსპექტირების სამსახურებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად.

7. **სტრუქტურა და მოდულები**

პროგრამა მოიცავს ზოგად სავალდებულო 3 მოდულს ჯამური 11 კრედიტის ოდენობით. პროფესიულ სავალდებულო 21 მოდულს ჯამური 109 კრედიტის ოდენობით. უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში, პირმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა კი 150 კრედიტი, რომელშიც შედის ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულები (30 კრედიტი).

**პროგრამის ხანგრძლივობა:**

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 150 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-27 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-21 თვე.

| № | ზოგადი მოდულები | კრედიტი |
|---|---|---|
| 4. | ინფორმაციული წიგნიერება 2 | 3 |
| 5. | უცხოური ენა (ინგლისური) | 5 |
| 6. | მეწარმეობა 3 | 3 |
| | ჯამი: | 11 |
| № | **პროფესიული მოდულები** | **კრედიტი** |

| | | |
|---|---|---|
| 1. | გაცნობითი პრაქტიკა - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები | 2 |
| 2. | ფსიქოლოგიის საფუძვლები | 4 |
| 3. | ანატომიის საფუძვლები | 4 |
| 4. | გარემოს დაცვის საფუძვლები | 4 |
| 5. | მენეჯმენტის საფუძვლები | 3 |
| 6. | დარგობრივი ინგლისური ენა | 3 |
| 7. | ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი რეგულაციები და სტანდარტები | 8 |
| 8. | საფრთხეებისა და რისკის კონტროლი სამუშაო (დასაქმების) ადგილზე | 4 |
| 9. | ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი | 6 |
| 10. | გარემოს დაცვის მენეჯმენტი | 4 |
| 11. | საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანების საფრთხეები და რისკის კონტროლი | 4 |
| 12. | ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების და რისკის კონტროლი | 4 |
| 13. | ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება | 5 |
| 14. | გარემოს დაცვა და კლიმატური გამოწვევები | 7 |
| 15. | ნარჩენების მართვა | 7 |
| 16. | წყლისა და ჰაერის დაბინძურება | 7 |
| 17. | ტრანსპორტის უსაფრთხოების და რისკის კონტროლი | 3 |
| 18. | გარემოსდაცვით საგანგებო სიატუაციებზე რეაგირების დაგეგმვა | 4 |
| 19. | ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი | 4 |
| 20. | სამუშაო აღჭურვილობის საფრთხეების და რისკის კონტროლი | 2 |
| 21. | საწარმოო პრაქტიკა | 20 |
| | ჯამი | 109 |
| | სულ: | 120 |

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამი სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

***სწავლის შედეგები შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებით***

1. შეადგინოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოსდაცვითი გეგმა
2. შეიმუშაოს და განაახლოს პროცედურები და ინსტრუქციები
3. შეაფასოს პროფესიული დაზიანებები და აკონტროლოს რისკი
4. შეაფასოს, გააკონტროლოს და განსაზღვროს ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების პრევენციული ზომები
5. დაიცვას ელექტროუსაფრთხოებისა და  სახანძრო უსაფრთოების წესები
6. განახორციელოს ევაკუაციის პროცესები
7. გაწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება
8. გაატაროს საფრთხეების პრევენციისა და რისკების შემცირების ღონისძიებები
9. აკონტროლოს სამუშაო ადგილზე ადამიანთა და სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოდ გადაადგილება
10. შეაფასოს გარემოზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების გავლენა
11. განახორციელოს გარემოსდაცვითი სისტემის აუდიტი და მონიტორინგი
12. დაგეგმოს უსაფრთხო სასმელი წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაცვით მოქმედება
13. აკონტროლოს წყლის წყაროების დაბინძურება
14. აკონტროლოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ჰაერში გაფრქვევის შემცირება.

**9. კვალიფიკაციის მინიჭება:**

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ  კოლეჯის ,,ფაზისი“ პრეროგატივას.
კვალიფიკაციის მოსაპოვებლად  პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრ
განსაზღვრული მოდულები.

## ,,ელექტროობა”- 0713

(განხორციელების ადგილი - ფოთი, ხობის მუნიციპალიტეტი-სოფელი ნოჯიხევი)

**1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე** - ელექტროობა / Electricity

2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა** 07313-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Basic Vocational Qualification in Electricity;

**4. მიზანი:** პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექტროობაში (დაბალი ძაბვის ელექტროობა).

**5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები** - საბაზო განათლება;

**6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

- **ელექტროობის** საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად: ელექტრიკოსად; ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟედ; შენობის ელექტრიკოსად; მომმარაგებელ-ელექტრიკოსად; ელექტრო-მექანიკოსად; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟედ; განათების სისტემების მემონტაჟედ; ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟედ; დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟედ; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟედ; ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟედ; და მზის ენერგიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟედ.

**7. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები**

- **საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობა** მოიცავს 4 ზოგად მოდულს ჯამური 10 კრედიტის ოდენობით. 6 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 28 კრედიტის ოდენობით. 1 არჩევით მოდულს ჯამური 4 კრედიტის ოდენობით. ელექტროობაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს **56** კრედიტი.

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 71 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-12 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 56 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-9 თვე.

| № | საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის ზოგადი მოდულები | კრედიტი |
|---|---|---|
| 1 | უცხოური ენა (ინგლისური) | 4 |
| 2 | მეწარმეობა 1 | 2 |
| 3 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| 4 | პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები | 1 |
| | **ჯამი** | **10** |
| | | |
| **№** | **პროფესიული მოდულები** | **კრედიტი** |
| 1 | გაცნობითი პრაქტიკა ელექტროობაში | 2 |

| | | |
|---|---|---|
| 2 | საინჟინრო ხაზვა | 4 |
| 3 | ელექტრული და ელექტრონული პრინციპები | 4 |
| 4 | კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში | 4 |
| | **ჯამი:** | **14** |
| **№** | **დარგობრივი მოდულები** | **კრედიტი** |
| 1 | ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ელექტროობაში | 4 |
| 2 | ელექტრული ტექნოლოგია | 4 |
| 3 | ელექტრული მანქანების თვისებები და გამოყენება | 4 |
| 4 | ელექტრული მონტაჟი | 4 |
| 5 | მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის | 4 |
| 6 | საინჟინრო პროექტი | 8 |
| | **ჯამი** | **28** |
| **№** | **არჩევითი მოდულები** | **კრედიტი** |
| 1 | უცხოური ენა (რუსული) | 4 |
| | **ჯამი** | **4** |
| | **სულ:** | **56** |

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

***სწავლის შედეგები საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის ელექტროობის მიმართულებით***

1. გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება
2. გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები
3. დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში
4. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით
5. გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები
6. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვ სისტემის (CAD) გამოყენებით
7. შექმნას და წარადგინოს პროექტი.

**9.კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" პრეროგატივას.
კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრ განსაზღვრული მოდულები.

(განხორციელების ადგილი - ფოთი)

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე -** შედუღება/Welding
2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა:**07310-3

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე**

   საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Basic Vocational Qualification in Welding

4. **მიზანი -** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კარდის მომზადება.

5. **დაშვების წინაპირობები**

- საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია - საბაზო განათლება;
- „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

   **შედუღების** საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ისეთ პროფესიებზე როგორიცაა - შემდუღებლები და აირმჭრელები, რომლებიც ადუღებენ და ჭრიან ლითონის ნაწილებს აირის სანთურის, ელექტრორკალური ან სხვა გამაცხელებელი საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში.

7. **სტრუქტურა და მოდულები**

   **საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში** მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 6 კრედიტის რაოდენობით. 9 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 32 კრედიტის რაოდენობით. შედუღებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს **38** კრედიტი.

- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 53 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-9 თვე.
- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 38 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-6 თვე.

| შედუღება | | |
|---|---|---|
| **ზოგადი მოდულები** | | |
| **№** | **მოდულის დასახელება** | **კრედიტები** |
| 1 | მეწარმეობა1 | 2 |
| 2 | უცხოური ენა (ინგლისური) | 4 |
| სულ | | **6** |
| **პროფესიული მოდულები** | | |
| 1 | ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე | 4 |
| 2 | შედუღების მასალები და მათი მახასიათებლები | 4 |
| 3 | დარგობრივი კომუნიკაცია | 4 |
| 4 | ლითონის თერმული დამუშავება | 4 |
| 5 | შესადუღებელი მასალების ტექნიკური მონაცემების გამოყენება-დოკუმენტირება | 4 |
| 6 | შედუღების პროცესის მასალების მომზადება | 4 |

| | | |
|---|---|---|
| 7 | ლითონების შედუღება ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში | 4 |
| 8 | შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში | 2 |
| 9 | მშრალი შედუღება | 2 |
| სულ | | **32** |

**8. *სწავლის შედეგები საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის შედუღების მიმართულებით***

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

1.შეადუღოს ლითონის ნაწილები აირისსანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ან სხვამეთოდებით
2.გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად
3.შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით
4.დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით
5.შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით
6.შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედუღების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით
7.დაადგინოს დეფექტები და წუნები
8.შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე.

**9. კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ პრეროგატივას.
კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულები.

(განხორციელების ადგილი - ფოთი)

1. **ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა:-** ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი / Vehicles Body and Special Purpose Techniques Service

2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა:** 07119-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე:**
საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთაბაში / Basic Vocational Qualification in Vehicle Repair

4. **მიზანი:** პროგრამის მიზანია, სატრანსპორტო სფეროში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, მოდერნიზება და შეკეთება. პროგრამის მიზანია მოამზადოს სტუდენტი რომელსაც კვალიფიკაციის შესაბამისად შეეძლება ძრავისა და მისი მექანიზმებისა და აგრეგატების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა,კვანძებისა და დეტალების ვარგისიანობის დამოუკიდებლად შეფასება, კომპლექტაცია, შეკეთება, აწყობა, გამოცდა,გასახმარისება, ადგილზე მიყენება ტექნოლოგიური რუკებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნების შესაბამისად, სამუშაო ადგილის ორგანიზაცია უსაფრთხოების ტექნიკის ნორმების გათვალისწინებით

5. **დაშვების წინაპირობები:**

- საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთაბაში - **საბაზო განათლება**

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:**

**მსუბუქი ავტომობილის შეკეთაბაში** საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის ტექნიკოსად, ძრავას მექანიკოსად (საავტომობილო ტრანსპორტი), ძრავას მექანიკოსად (აგრარული ტექნიკა), ავტოსერვისის მექანიკოსად, ელექტრიკოსად, სავალი ნაწილის მექანიკოსად, დიაგნოსტიკოსად.

- ➢ ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 45.2; 45.20; 45.20.0
- ➢ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7231.

7. **სტრუქტურა და მოდულები**

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში - მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით, 6 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით, 4 პროფესიულ მოდულს ჯამური 10 კრედიტის რაოდენობით, **ძრავის შეკეთება** - მოიცავს კონცენტრაციის 5 მოდულს ჯამური 14 კრედიტის რაოდენობით.

პირმა მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად უნდა დააგროვოს 58 კრედიტი.

**პროგრამის ხანგრძლივობა:**

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 73 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-14 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 58 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-11 თვე.

| № | ზოგადი მოდულები | კრედიტი |
|---|---|---|
| 1 | მეწარმეობა 1 | 2 |
| 2 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| 3 | რაოდენობრივი წიგნიერება | 2 |
| 4 | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 3 |

| | | |
|---|---|---|
| 5 | სამოქალაქო განათლება | 3 |
| 6 | უცხოური ენა (ინგლისური) | 4 |
| ჯამი: | | 17 |
| № | **საერთო სავალდებულო მოდულები** | **კრედიტი** |
| 1 | ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია | 2 |
| 2 | შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა | 3 |
| 3 | ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები | 4 |
| 4 | დამკვეთთან ურთიერთობა | 2 |
| 5 | საზეინკლო საქმის საფუძვლები | 4 |
| 6 | **გაცნობითი პრაქტიკა** - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისები | 2 |
| | ჯამი: | 17 |
| № | **მსუბუქი ავტომობილის შეკეთება - პროფესიული მოდულები** | **კრედიტი** |
| 1 | ტრანსმისიის კლასიფიკაცია | 2 |
| 2 | დაკიდების სისტემის საჭით მართვის და სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია | 3 |
| 3 | ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები | 2 |
| 4 | შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია | 3 |
| | ჯამი: | 10 |
| № | **ძრავის შეკეთება - დარგობრივი მოდულები** | **კრედიტი** |
| 1 | ძრავის ზოგადი დიაგნოსტირება | 2 |
| 2 | ძრავის მოხსნა-დაყენება | 3 |
| 3 | ძრავის საწვავით კვების სისტემის სერვისი | 3 |
| 4 | ძრავის მექანიზმების სერვისი | 4 |
| 5 | ძრავის შეზეთვა-გაგრილების სერვისი | 2 |
| ჯამი: | | 14 |
| სულ: | | 58 |

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები**
კურსდამთავრებულს შეუძლია:

**საერთო სწავლის შედეგები:**

- მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებების, დაკიდების სისტემის საჭით მართვისა და სამუხრუჭე სისტემების, ტრანსმისიის და შიგა წვის ძრავების კლასიფიცირება
- ჩაატაროს ზოგადი ელექტროტექნიკური და ელექტრონული გაზომვები
- წარმართოს საქმიანობა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი წესების გათვალისწინებით
- წარმართოს დამკვეთთან ეფექტური კომუნიკაცია

**სწავლის შედეგები მსუბუქი ავტომობილის შეკეთების მიმართულებით:**

- მოახდინოს დაკიდების, სჭით მართვის, სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია
- წაიკითხოს და გაანალიზოს ბლოკ-სქემები და პრინციპული სქემები
- მოახდინოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების, გადაცემათა კოლოფების, წამყვანი ხიდების და მათი ამძრავების კლასიფიკაცია მუშაობის პრინციპის მიხედვით
- მოახდინოს შიგაწვის ძრავების კლასიფიკაცია აგებულების, ცილინდრების განლაგების, საწვავის ტიპების და ჰაერის მიწოდების სისტემის მიხედვით.

**9. კვალიფიკაციის მინიჭება:**
კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ პრეროგატივას.
კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულები.

# ,,სამკერვალო წარმოება“ -0723

(განხორციელების ადგილი - ფოთი)

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე** - სამკერვალო წარმოება / Sawing industry

2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა:** 07120-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე**

   საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში/ Basic Vocational Qualification in Sewing Industry

4. **მიზანი**
   პროფესიული საგანმანათლებლო მიზანი ასამკერვალო წარმოებისათვის უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტის აღზრდა. სპეციალისტი შეძლებს, ქალის, მამაკაცის, ბავშვის ტანსაცმლის და სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირებას, მოდელირებას და მასალაში შესრულებას, ასევე, ქართული ეროვნული სამოსის მასალაში შესრულებას და დეკორატიულ გაფორმებას,ტანსაცმლის შეკეთებას, გადაკეთებას და აღდგენას, საკერავი მანქანებისა და თბურ-დანამვითი დანადგარების შერჩევა/გამოყენებას და სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლს.

5. **დაშვების წინაპირობა** -საბაზო განათლება

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

   საბაზო პროფესიული კვალიფიკაციით სამკერვალო წარმოებაში პირს შეუძლია დასაქმდეს დიდი, საშუალო და მცირე სიმძლავრის სამკერვალო საწარმოებში, მოდის სალონებში მკერავის და კონსტრუქტორის პოზიციაზე.

7. **სტრუქტურა და მოდულები**
   ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს 6 ზოგად მოდულს, ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით და 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 83 კრედიტის რაოდენობით, კვალიფიკაციის მინიჭებისათვის საჭიროა **100 კრედიტი.**

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 115 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-21 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 100 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-19 თვე.

| **ზოგადი მოდულები** | | |
|---|---|---|
| **№** | **მოდულის დასახელება** | **კრედიტი** |
| **1** | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| **2** | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 3 |
| **3** | რაოდენობრივი წიგნიერება | 2 |
| **4** | მეწარმეობა 1 | 2 |
| **5** | უცხოური ენა (ინგლისური) | 4 |
| **6** | სამოქალაქო განათლება | 3 |
| **ჯამი** | | **17** |
| **პროფესიული მოდულები** | | |

| **№** | **მოდულის დასახელება** | **დაშვების წინაპირობა** | **კრედიტი** |
|---|---|---|---|
| 1 | გაცნობითიპრაქტიკა -სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა | | 2 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | კოსტიუმისისტორიისსაფუძვლები | | 2 |
| 3 | ტანსაცმლისკომპოზიციისშექმნა | | 5 |
| 4 | სატანსაცმელემასალებისკონფექციონირება | | 3 |
| 5 | ტანსაცმლისდამუშავებისსაწყისებიდაზოგად იტექნოლოგია | | 5 |
| 6 | ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება | | 6 |
| 7 | მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება | | 5 |
| 8 | ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური დაგეგმარება | ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია | 5 |
| 9 | ქართული ეროვნული სამოსის დეკორატიული გაფორმება | | 5 |
| 10 | ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება | 1. ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია;<br>2.სატანსაცმელე მასალების კონფექციონირება | 7 |
| 11 | მამაკაცის ტანსაცმლის მასალაში შესრულება | 1. ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია;<br>2.სატანსაცმელე მასალების კონფექციონირება | 4 |
| 12 | ქართული ეროვნული სამოსის მასალაში შესრულება | 1.ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია;<br>2. სატანსაცმელე მასალების კონფექციონირება | 10 |
| 13 | სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმის მოდელირება და კერვა | 1.ტანსაცმლისდამუშავებისსაწყისებიდაზოგად იტექნოლოგია;<br>2.სატანსაცმელემასალებისკონფექციონირება | 5 |
| 14 | ტანსაცმლისშეკეთება, გადაკეთებადააღდგენა | ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია | 2 |
| 15 | პრაქტიკული პროექტი - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა | 1. ტანსაცმლის კომპოზიციის შექმნა<br>2. ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება<br>3. მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება<br>4. ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება<br>5. მამაკაცის ტანსაცმლის მასალაში შესრულება | 7 |
| 16 | საწარმოო პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა | 1.ტანსაცმლისდამუშავებისსაწყისებიდაზოგად იტექნოლოგია<br>2. ქალისტანსაცმლისკონსტრუირებადამოდელირება<br>3. მამაკაცისტანსაცმლისკონსტრუირებადამოდელირება<br>4. ქალისტანსაცმლისმასალაშიშესრულება<br>5. მამაკაცისტანსაცმლისმასალაშიშესრულება<br>6. ტანსაცმლისშეკეთება, გადაკეთებადააღდგენა | 10 |
| **ჯამი** | | | **83** |
| **სულ** | | | **100** |

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ** პირს შეუძლია:

1. უზრუნველყოს უსაფრთხოსამუშაო ადგილის ორგანიზება
2. შექმნას სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის კომპოზიცია

3. შეარჩიოს სამკერვალონაწარმის დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალები, დაამზადოს ჩანახაზი და გამოჭრას ქსოვილი
4. გამოიყენოს ტანსაცმლის დამზადებისათვის საჭირო სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო მანქანები და თბურ-დანამვითი დამუშავების მოწყობილობები
5. დაამუშაოს ტექნოლოგიურად ტანსაცმლის დეტალები და ძირითადი კვანძები
6. გაიანგარიშოს საწყისი მონაცემები ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული დაგეგმარებისათვის
7. განახორციელოს ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული დაგეგმარება და მოდელირება
8. გააფორმოს დეკორატიულადქართული ეროვნული სამოსი
9. შეასრულოს მასალაში ქართული ეროვნული სამოსი
10. შეასრულოს მასალაში ქალის ტანსაცმელი
11. შეასრულოს მასალაში მამაკაცის ტანსაცმელი
12. შეასრულოს მასალაში ბავშვის ტანსაცმელი
13. შეასრულოს მასალაში სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმი
14. გადააკეთოს ტანსაცმელი
15. აღადგინოს ტანსაცმლის დაზიანებული უბნები.

## 9. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" პრეროგატივას.
კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულები.



# მიმართულება - მომსახურებები







## ,,თმის მომსახურება"-1012

(განხორციელების ადგილი - ფოთი, ხობის მუნიციპალიტეტი-სოფელი ნოჯიხევი.)

**1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე:** თმის მომსახურება Hair Services

**2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა:** 10119-პ

**3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ ა ინგლისურ ენაზე** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში / Basic Vocational Qualification in Hair and Beauty Services

**4. მიზანი:** პროგრამის მიზანია, მოამზადოს თმისა და სილამაზის სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრები, კერძოდ, თმის სტილისტი.

**5. დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება

**6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

თმისა და სილამაზის მომსახურებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია შესაბამისი კონცენტრაციის საფუძველზე დასაქმდეს შემდეგ პოზიციებზე: თმის ოსტატი, პარიკმახერი, თმის სტილისტი; ვიზაჟის სპეციალისტი; კოსმეტოლოგი, სპა თერაპისტი ფრჩხილის ოსტატი; პირი ასევე შეიძლება იყოს თვითდასაქმებული.

**7. სტრუქტურა და მოდულები:**

პროგრამა ,,**თმის მომსახურება**" მოიცავს ზოგად მოდულებს-11 კრედიტი, სავალდებულო პროფესიულ მოდულებს - 22 კრედიტი, დარგობრივ მოდულებს-25 კრედიტი, არჩევით მოდულს-4 კრედიტი. თმის მომსახურების პროგრამის გავლის შემთხვევაში პირმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს 62 კრედიტი;
პროგრამის ხანგრძლივობაა :

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 77 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-15 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 62 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-12 თვე.

| ზოგადი მოდულები | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | მეწარმეობა 1 | 2 |
| 2 | სამოქალაქო განათლება | 3 |
| 3 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| 4 | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 3 |
| | ჯამი: | 11 |
| პროფესიული მოდულები | | |
| 1. | სილამაზის მომსახურების ობიექტების ორგანიზება | 3 |
| 2. | მარკეტინგი და გაყიდვები | 2 |
| 3. | ანგარიშსწორება, კალკულაცია და ხარჯთაღრიცხვა სილამაზის მომსახურების ობიექტებზე | 3 |
| 4. | პირველადი გადაუდებელი დახმარება | 3 |
| 5. | ფრჩხილის, თმის და კანის ტიპები | 4 |
| 6. | სპეცხატვა და ფერთა თეორია | 3 |
| 7. | დარგობრივი ინგლისური ენა | 4 |
| | ჯამი: | 22 |

| პროფესიული მოდულები/თმის მომსახურება | | |
|---|---|---|
| 1. | თმის შეჭრის ტექნოლოგია | 5 |

| | | |
|---|---|---|
| 2. | თმის ვარცხნილობები | 3 |
| 3. | თმის ღებვა | 6 |
| 4. | თმის სპა პროცედურები | 1 |
| 5. | თმის ქიმიური დამუშავების ტექნოლოგია | 3 |
| 6. | პრაქტიკული პროექტი - თმის მომსახურება | 1 |
| 7. | საწარმოო პრაქტიკა - თმის მომსახურება | 6 |
| | **ჯამი:** | **25** |

| არჩევითი მოდულები | | |
|---|---|---|
| 1. | დარგობრივი რუსული ენა | 4 |
| | **ჯამი:** | **4** |
| **სულ:** | | **62** |

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამი სწავლის შედეგები**

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

1. შეჭრას თმა
2. სუბსტრაქტული სქემით აფორმიროს ძირითადი ფერები
3. მოახდინოს პალიტრის კლასიფიცირება
4. შეღებოს და გააღიაოს თმა
5. შეასრულოს თმის ქიმიური დახვევა და გასწორება
6. შეასრულოს სხვადასხვა სახის ვარცხნილობები
7. შეასრულოს წვერ-ულვაშისა და ბაკენბარდების მოდელირება
8. შეასრულოს თმის სპა პროცედურები.

**9. კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" პრეროგატივას.
კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულები.

# ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება 040779

(განხორციელების ადგილი - ფოთი)

**1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა -** ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება / Crane and Related Plants Operation

**2. სარეგისტრაციო ნომერი -** 07112-ვ

**3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე**

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში / Basic Vocational Qualification in Crane Operation

**4. მიზანი**

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

**5. დაშვების წინაპირობები**

- „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა", ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა;
- ასაკი არანაკლებ 17 წელი;
- საბაზო საფეხურის შემთხვევაში - საბაზო განათლება;

**6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

ამწეების და მსგავსი მანქანების ოპერატორები მეთვალყურეობენ და მართავენ უძრავ და მოძრავ ამწეებსა და სხვა ამწე აღჭურვილობას, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში.

**7. სტრუქტურა და მოდულები**

საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **46 კრედიტი**, 9 პროფესიული მოდული 40 კრედიტის რაოდენობით და 2 ზოგადი მოდული 6 კრედიტის რაოდენობით.

**პროგრამის ხანგრძლივობაა:**

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 61 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-10 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 46 კრედიტი, ხოლო პროგრამის

| | **ამწის ოპერირება** | |
|---|---|---|
| | **ზოგადი მოდულები** | |
| | **მოდულის დასახელება** | **კრედიტები** |
| | მეწარმეობა 1 | 2 |
| | უცხოური ენა (ინგლისური) | 4 |
| | **ჯამი:** | **6** |
| | | |
| | **პროფესიული მოდულები** | **კრედიტები** |
| | სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების დაცვა | 4 |
| | ამწის საექსპლუატაციო მახასიათებლები და ტექნიკური სპეციფიკაციები | 4 |
| | სატვირთო სამუშაოების რეგულაციები ნავსადგურში | 4 |
| | ტვირთსატაცი აღჭურვილობის უსაფრთხო ექსპლუატაცია | 4 |
| | ამწის ექსპლუატაციის მოსამზადებელი სამუშაოები | 6 |
| | ტვირთამწევი მექანიზმები და ტვირთის გადატანა | 4 |
| | კომუნიკაციის მეთოდები სატვირთო ოპერაციებში | 4 |
| | ამწის ტექნიკური მომსახურება, მიმდინარე და დაგეგმილი დათვალიერება | 4 |
| | საკონტეინერო სატვირთო სამუშაოები გემებზე | 6 |
| | **ჯამი:** | **40** |
| | **სულ:** | **46** |

ხანგრძლივობა-7,5 თვე

## 8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები

**საბაზო საფეხურის კურსდამთავრებულს შეუძლია:**

1. აწარმოოს სატვირთო ოპერაციები - გადაადგილება/განთავსება, აწევა/დაშვება
2. გამოიყენოს ამწის აღჭურვილობები - ტვირთსატაცი, ტვირთამწევი
3. აწარმოოს ამწის სამუშაოდ მოსამზადებელი სამუშაოები, განახორციელოს სამუშაოს წინარე და შემდგომი, პერიოდული და გეგმიური დათვალიერება
4. აწარმოოს ამწის საექსპლუატაციო მახასიათებლების კონტროლი და ტექნიკური დათვალიერებ
5. დაიცვას სამუშაო გარემოს უსაფრთხოება და პერსონალის ჯანმრთელობა, სანიტარული ნორმები და რეგულაციების სხვა მოთხოვნები.

## 9. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" პრეროგატივას.
კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული

## „ამწის ოპერირება“- 1041

(განხორციელების ადგილი - ფოთი)

**1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე -** ამწის ოპერირება/ Crane Operation

**2. სარეგისტრაციო ნომერი** - 07112-ვ

**3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე**

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში / Secondary Vocational Qualification in Crane Operation

**4. მიზანი:** პროგრამის მიზანია შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.

**5. დაშვების წინაპირობები**

- „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა;
- ასაკი არანაკლებ 17 წელი;
- სრული ზოგადი განათლება - საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის შემთხვევაში;
- საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

**6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

ამწეების და მსგავსი მანქანების ოპერატორები მეთვალყურეობენ და მართავენ უძრავ და მოძრავ ამწეებსა და სხვა ამწე აღჭურვილობას, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში.

**7. სტრუქტურა და მოდულები**

- **საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის პროგრამა ამწის ოპერირებაში** მოიცავს 17 პროფესიულ მოდულს 69 კრედიტის რაოდენობით, 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის რაოდენობით, 5 ზოგად ინტეგრირებულ მოდულს - 60 კრედიტის ოდენობით.
- **საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში** მინიჭებისათვის, მოდულური სწავლებისას, პირმა უნდა დააგროვოს **76** კრედიტი, ხოლო ინტეგრირებული სწავლებისას-141 კრედიტი.

**პროგრამის მოცულობაა:**

**მოდულური:**

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 76 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-12,5 თვე.
- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 106 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-18 თვე.

ინტეგრირებული:

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 134 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-30 თვე.
- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 164 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-36 თვე.

***არ გაითვალისწინება ისეთ სასწავლო გეგმაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| | **ამწის ოპერირება** | |
| | **ზოგადი მოდულები** | |
| **№** | | **კრედიტები** |
| 1 | **წარმეობა 2 *** | 2 |
| 2 | ცხოური ენა (ინგლისური) | 5 |
| | **ჯამი:** | **7** |
| | **ინტეგრირებული მოდულები** | |
| 1 | ამუნიკაცია ქართულ ენაზე | 14 |
| 2 | თემატიკური წიგნიერება | 14 |
| 3 | ცნიერება და ტექნოლოგიები | 18 |
| 4 | წარმეობა | 4 |
| 5 | აქალაქეობა | 10 |
| | **ჯამი:** | **60** |
| **№** | **პროფესიული მოდულები** | **კრედიტები** |
| 1 | მუშაო ადგილებზე ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების დაცვა | 4 |
| 2 | წის საექსპლუატაციო მახასიათებლები და ტექნიკური სპეციფიკაციები | 4 |
| 3 | ტვირთო სამუშაოების რეგულაციები ნავსადგურში | 4 |
| 4 | ვირთსატაცი აღჭურვილობის უსაფრთხო ექსპლუატაცია | 4 |
| 5 | წის ექსპლუატაციის მოსამზადებელი სამუშაოები | 6 |
| 6 | ვირთამწევი მექანიზმები და ტვირთის გადატანა | 4 |
| 7 | ამუნიკაციის მეთოდები სატვირთო ოპერაციებში | 4 |
| 8 | წის ტექნიკური მომსახურება, მიმდინარე და დაგეგმილი დათვალიერება | 4 |
| 9 | კონტეინერო სატვირთო სამუშაოები გემებზე | 6 |
| 10 | რსონალის სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება | 3 |
| 11 | რემოსა და სიცოცხლის დაცვის, შრომის უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების ხრუნველყოფის სისტემები | 3 |
| 12 | სასრულებელი სამუშაოს ფუნქციათა დანაწილება და სამუშაოების შესრულების შეფასება | 3 |
| 13 | ვირთამწე აღჭურვილობით სამუშაოთა წარმოების ზედამხედველობა | 5 |
| 14 | მუშაოთა კოორდინირება და კონტროლის ორგანიზება | 5 |
| 15 | ანადგარის, აღჭურვილობისა და მექანიზმების შერჩევა, გამოყენება და მონიტორინგი | 4 |

| | | |
|---|---|---|
| 16 | ვირთის პოზიციონირების სიზუსტის ანალიზი | 3 |
| 17 | ოსამზადებელი სამუშაოების კოორდინირება სამუშაო ადგილზე ტვირთის ასაწევი ოპერაციებისათვის | 3 |
| ჯამი: | | 69 |
| სულ: | | 136 |

**8.მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები**

**საშუალო საფეხურის კურსდამთავრებულს შეუძლია:**

1. აწარმოოს სატვირთო ოპერაციები: გადაადგილება/განთავსება, აწევა/დაშვება
2. გამოიყენოს ამწის აღჭურვილობები: ტვირთსატაცი, ტვირთამწევი
3. აწარმოოს ამწის სამუშაოდ მოსამზადებელი სამუშაოები, განახორციელოს სამუშაოს წინარე და შემდგომი, პერიოდული და გეგმიური დათვალიერება
4. აწარმოოს ამწის საექსპლუატაციო მახასიათებლების კონტროლი და ტექნიკური დათვალიერება
5. დაიცვას სამუშაო გარემოს უსაფრთხოება და პერსონალის ჯანმრთელობა, სანიტარული ნორმები და რეგულაციების სხვა მოთხოვნები
6. შეაფასოს პერსონალის შესაძლებლობები და გადაანაწილოს შესასრულებელი სამუშაოები
7. გამოიყენოს ამწის აღჭურვილობები
8. განახორციელოს ამწის სამუშაო ოპერაციების ზედამხედველობა
9. განახორციელოს სამუშაოთა შესრულების კონტროლის ორგანიზება-კოორდინაცია
10. დაგეგმოს და განახორციელოს დანადგარების, აღჭურვილობისა და მექანიზმების გამოყენების სამუშაოები და მონიტორინგი
11. დაგეგმოს და შეასრულოს სამუშაო მოედანზე ტვირთის პოზიციონირების სიზუსტის უზრუნველყოფის სამუშაოები

**9. კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მინიჭება არის სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" პრეროგატივა;

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.







# მიმართულება - ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები





## „ფლორისტიკა"- 0214

(განხორციელების ადგილი - ფოთი)

**1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა**- ფლორისტიკა / Floristry

**2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა -** 02124-პ

**3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე -** საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ფლორისტიკაში / Basic Vocational Qualification in Floristry

**4. მიზანი**

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს და შრომის ბაზარს შესთავაზებს კვალიფიციურ ფლორისტს, რომელიც შეძლებს მცენარეთა მხატვრული არანჟირებით შექმნას ფლორისტული კომპოზიციები და თემატური გაფორმებები. ამასთანავე, საჭირო კომპეტენციებით აღჭურვილმა თავისი პროფესიული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისას მხატვრულად გააფორმოს ექსტერიერი და ინტერიერი სხვადასხვა მასალითა და სპეციალური მეთოდების გამოყენებით.

**5. დაშვების წინაპირობა -** საბაზო განათლება

**6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

ფლორისტიკაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს ფლორისტული სალონში, ივენთკომპანიაში, ყვავილების მაღაზიაში, სხვადასხვა ტიპის დაწესებულებაში (სასტუმრო, რესტორანი და სხვა). შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

**7. სტრუქტურა და მოდულები**

**პროგრამა** მოიცავს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით და 10 პროფესიულ მოდულს - ჯამური 37 კრედიტის რაოდენობით, საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად ფლორისტიკაში, პირმა უნდა დააგროვოს 54 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა კი 69 კრედიტი, რომელშიც შედის ქართული ენა A2 (15 კრედიტი).

**პროგრამის ხანგრძლივობაა :**

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 69 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა- 12,5 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 54 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-10 თვე.

| ზოგადი მოდულები | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 3 |
| | მეწარმეობა 1 | 2 |
| | რაოდენობრივი წიგნიერება | 2 |
| | სამოქალაქო განათლება | 3 |
| | უცხოური ენა | 4 |
| სულ | | 17 |
| პროფესიული მოდულები | | |
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| | გაცნობითი პრაქტიკა - ფლორისტიკა | 2 |
| | ესკიზის შექმნა | 5 |
| | ფლორისტული კომპოზიციების შექმნა | 12 |
| | თაიგულის შექმნა | 3 |
| | კომპოზიციების შექმნა ქოთნის მცენარეებით | 1 |
| | საქორწილო ფლორისტიკა | 2 |
| | სამგლოვიარო ფლორისტიკა | 2 |
| | ინტერიერის და ღია სივრცის გაფორმება | 2 |
| | საშობაო გაფორმება | 2 |
| | პრაქტიკული პროექტი - ფლორისტული გაფორმების შესრულება | 6 |
| სულ | | 37 |

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ფლორისტული ნაკეთობები კომპოზიციის პრინციპების გამოყენებით
2. შექმნას ფლორისტული ნაკეთობები სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით
3. დაამუშაოს საჭირო მასალები
4. შექმნას ფლორისტული ნამუშევრის ან გაფორმების წინასწარი ესკიზი
5. შეასრულოს თემატური ფლორისტული გაფორმება.

**9. კვალიფიკაციის მინიჭება:** კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ პრეროგატივას.

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

## ,, ხის მხატვრული დამუშავება”- 0214

(განხორციელების ადგილი - ფოთი)

**1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა-** ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავება / Wood, Stone and Metal Artistic Processing

**2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი** - 02123-პ

**3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე:** საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში / Basic Vocational Qualification in Wood Artistic Processing

**4. მიზანი**

,,ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული პროგრამის მიზანია, მომზადდეს ხის მხატვრული დამუშავების კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელმაც იცის ხის მხატვრული დამუშავებისთვის საჭირო დანადგარების, ხელსაწყოებისა და მასალის შერჩევა, ესკიზისა და ნახაზის შესრულება, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ავეჯის კონსტრუირება, ესკიზის მიხედვით ხის მხატვრული კვეთა, ხის ავეჯისა და დეკორატიული ნივთების დამზადება უსაფრთხოების წესების დაცვით, ხის დაზიანებული ავეჯის შეკეთება.

**5. დაშვების წინაპირობა** - საბაზო განათლება

**6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

ხის მხატვრული დამუშავებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს ავეჯის კონსტრუქტორად, ეკლესიების, სკოლების, რესტორნების ავეჯის მწარმოებლად, სპეციალური ავეჯის (დახლების, ვიტრინების, თაროების და მისთ) მწარმოებლად, საოფისე ავეჯის მწარმოებლად, ხის საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების მწარმოებლად, ხის სტატუეტების და ორნამენტების, ხის ინკრუსტაციების, ხის ფერადი მოზაიკის მწარმოებლად, ხის ყუთების, საიუველირო ნაკეთობების, სასადილო საკუთნოების და მსგავსი ნაკეთობების მწარმოებლად.
პირს შეუძლია დასაქმდეს: ავეჯის დამამზადებელ საწარმოში, ხის დამამუშავებელ საწარმოში, ხის წნული ნივთების დამამზადებელ სახელოსნოში, შექმნას კერძო წარმოება და აწარმოოს საკუთარი ბიზნესი.

**7. სტრუქტურა და მოდულები**

**„ხის მხატვრული დამუშავება“** მოიცავს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით, 5 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 16 კრედიტის რაოდენობით, 9 პროფესიულ მოდულს - ჯამური 46 კრედიტის რაოდენობით, 2 არჩევითი მოდულს - ჯამური 11 კრედიტის რაოდენობით. ხის მხატვრულ დამუშავებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 90 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა კი 105 კრედიტი, რომელშიც შედის ქართული ენა A2 (15 კრედიტი).

პროგრამის ხანგრძლივობაა :

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 105 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-21,5 თვე.

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 90 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-19 თვე.

| ზოგადი მოდულები | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| 2 | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 3 |
| 3 | მეწარმეობა 1 | 2 |
| 4 | რაოდენობრივი წიგნიერება | 2 |
| 5 | სამოქალაქო განათლება | 3 |
| 6 | უცხოური ენა | 4 |
| სულ | | 17 |
| საერთო პროფესიული მოდულები | | |
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები | 4 |
| 2 | ხაზვა - ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავებისთვის | 3 |
| 3 | ძერწვის საწყისები | 3 |
| 4 | კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა Photoshop CS | 3 |
| 5 | გაცნობითი პრაქტიკა - ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავება | 3 |
| სულ | | 16 |

| ხის მხატვრული დამუშავების პროფესიული მოდულები | | | |
|---|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | | კრედიტი |
| 1. | მერქნისა და მერქნული მასალებისაგან ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგიები | | 8 |
| 2. | კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის | | 6 |
| 3. | ხეზე მხატვრული კვეთა | | 6 |
| 4. | მოზაიკური ტექნოლოგიით ნიმუშის დამზადება | | 4 |
| 5. | ხის მხატვრული დამუშავება რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხების გამოყენებით | | 5 |
| 6. | ქართული ტრადიციული ხის ნაკეთობების დამზადება | კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის | 6 |
| 7. | ხის წნული ნაკეთობების დამზადება | | 3 |

| | | | |
|---|---|---|---|
| **8.** | ხის ნაკეთობათა შეკეთება | | 3 |
| **9.** | პრაქტიკული პროექტი - ხის მხატვრულ დამუშავებაში | პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მოდული | 5 |
| **სულ** | | | **46** |
| | **ხის მხატვრული დამუშავების არჩევითი მოდულები** | | |
| **№** | **მოდულის დასახელება** | **კრედიტი** | |
| **1.** | ხის კარ-ფანჯრებისა და კიბის დამზადება | 7 | |
| **2.** | იატაკის მოწყობა | 4 | |
| **სულ:** | | **11** | |

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ნაკეთობათა ესკიზი/ნახაზი
2. დაამუშავოს მერქანი და მერქნული მასალა
3. ააწყოს და მოაპირკეთოს ხის ნაკეთობები
4. განახორციელოს მარტივი და რთული მხატვრული კვეთა ხეში
5. განახორციელოს კომპიუტერული დანადგარების გამოყენებით ხის მხატვრული დამუშავება
6. დაამზადოს ხის მხატვრული ნიმუში მოზაიკური ტექნოლოგიით
7. შექმნას ხის წნული ნაკეთობები
8. განახორციელოს ხის ნაკეთობების შეკეთება.

**9. კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ პრეროგატივას.

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.



მიმართულება - სოფლის მეურნეობა,
მეფუტკრეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია







# ფერმერი მემცენარე - 0811

(განხორციელების ადგილი - ხობის მუნიციპალიტეტი-სოფელი ნოჯიხევი.)

1. **ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა:** სოფლის მეურნეობა/Agriculture

2. **ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სარეგისტრაციო ნომერი** 09114-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე** - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში / Secondary Vocational Qualification in Agriculture განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორთან (ISCED) შესაბამისობაშია 081 სოფლის მეურნეობა - მემცენარეობა და მეცხოველეობა, აღწერი -*„შეისწავლის მცენარეული კულტურების მოყვანსა და მოვლას, ასევე ცხოველების მოშენებას, კვებასა და მოვლას. ის მოიცავს აგრარული მეურნეობის მენეჯმენტსა და ფუნქციონირებას და ასევე გადაუმუშავებელი მცენარეული და ცხოველური პროდუქციის წარმოებას“.*

4. **მიზანი**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა

**დაშვების წინაპირობები**- მოდულური პროგრამისთვის-სრული ზოგადი განათლება

ინტეგრირებული პროგრამისთვის-საბაზო განათლება

5. **დასაქმების შესაძლებლობები** - კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ ორგანიზაციებში, აგრეთვე შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული და მართავდეს საკუთარ მეურნეობას. შესაბამისი კონცენტრაციის/არჩევითი მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულის დასაქმების პოზიციებია:

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - ფერმერობის მიმართულებით - ფერმერი

6. **დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორში (ISCO) იდენტიფიცირებული დასაქმების პოზიციები**

- ბაზარზე ორიენტირებული მებაღეები და სასოფლო-სამეურნეო კულტურის მწარმოებლები
- მემინდვრეები და მებოსტნეები
- ხეხილისა და კენკროვანი კულტურების მწარმოებლები
- მებაღეები, სანერგეების სხვა მუშაკები
- შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები
- თვითმოხმარებაზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები

7. **სტრუქტურა და მოდულები:** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - სოფლის მეურნეობა მოიცავს 7 ზოგად მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 21 პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 57

კრედიტის ოდენობით და 6 არჩევით მოდულს 15 კრედიტის ოდენობით, ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში-5 მოდული 60 კრედიტი.

პროგრამის ხანგრძლივობაა:

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-22 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 90 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-16 თვე.
- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის, ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, პროგრამის მოცულობაა 178 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა- 36 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის, ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, პროგრამის მოცულობაა 148 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-30 თვე.

## 8. სოფლის მეურნეობის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეაფასოს და დაამუშაოს ნიადაგი;
- დაგეგმოს თესლბრუნვა;
- უზრუნველყოს მცენარეთა დაცვა;
- აწარმოოს ხეხილოვანი კულტურების სარგავი მასალა;
- უზრუნველყოს მცენარეთა გამოკვება;
- აიღოს მოსავალი;
- მართოს ფერმერული მეურნეობა;
- დაგეგმოს და განახორციელოს პროდუქტის პირველადი მიღება-რეალიზება.
- შეარჩიოს ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობა, ჯიში/ჰიბრიდი;
- გამოკვებოს ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები;
- მოამზადოს სუბსტრატი და აწარმოოს ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურების ჩითილი;
- უზრუნველყოს ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოსავლის აღება-შენახვა-რეალიზება.

## 9. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ პრეროგატივას. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

# ფერმერობა მეთევზეობაში - 0831

(განხორციელების ადგილი - ხობის მუნიციპალიტეტი-სოფელი ნოჯიხევი.)

1. **პროფესიული საგანმანათ;ლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე:** ფერმერობა მეთევზეობაში /Farming in fisheries

2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა** - 08305-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში / Secondary Vocational Qualification in Fisheries

4. **მიზანი:** პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მომზადება მიმართულებით ფერმერობა მეთევზეობაში.

5. **დაშვების წინაპირობა/წინაპირობები:** სრული ზოგადი განათლება

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:** ფერმერობა მეთევზეობაში /Farming in fisheries

პროგრამის გავლის შემდეგ პირს შეუძლია მართოს მეთევზეობის ფერმერული მეურნება, დასაქმდეს ფერმერულ მეურნეობებსა და საწარმოებში, ასევე თევზსაშენებში, შეუძლია თვითდასაქმება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დასაქმების პოზიციების ჩამონათვალიდან დასაქმების პოზიციები - მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები: თევზმომშენებელ-ოპერატორი, თევზმომშენებელ-ტექნიკოსი, ფერმერი-თევზმომშენებელი.

7. **სტრუქტურა და მოდულები:** პროგრამა აერთიანებს მეოთხე საფეხურის ერთ პროფესიულ კვალიფიკაციას: 5 ზოგადი მოდული - 15 ჯამური კრედიტის რაოდენობით, 13 პროფესიული მოდული - 55 ჯამური კრედიტის ოდენობით, კონცენტრაცია ,,ფერმერობა მეთევზეობაში" მოდულები - 30 კრედიტი; არჩევითი მოდული-5 კრედიტი.

**პროგრამის ხანგრძლივობაა:**

➢ არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 135 კრედიტი, ხოლო

პროგრამის ხანგრძლივობა-26,5 თვე.

➢ ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 105 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-21,5 თვე.

# პროფესიული მომზადება/ გადამზადება



